



საჯარო სამართლის იურიდიული პირი-

განათლების ხარისხის განვითარების
ეროვნული ცენტრის დირექტორის

ბრძანება № 384

11 07 2014წ.

ქ. თბილისი

ფერმერის პროფესიული
სტანდარტის დამტკიცების შესახებ

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) ა(ა)იპ - ფონდი საქართველოს ბავშვთა ფედერაციამ წარმოადგინა მევენახე-მეღვინის პროფესიული სტანდარტის პროექტი.

პროფესიული სტანდარტის პროექტი განხილულ იქნა 2014 წლის 24 ივნისის სხდომაზე, რომელშიც მონაწილეობდნენ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებების წარმომადგენლები, დამსაქმებლები და დარგის სპეციალისტები. აღნიშნული პროექტი ასევე, განთავსდა ცენტრის ვებგვერდზე და დაინტერესებულ პირებს მიეცათ შენიშვნებისა და მოსაზრებების წარმოდგენის შესაძლებლობა. პროფესიული სტანდარტის პროექტს მოჰყვა პოზიტიური გამოხმაურება და მოწონებულ იქნა.

შემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ცენტრის საგანმანათლებლო პროგრამების სამსახურის უფროსის 2014 წლის 8 ივლისის №486134 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით, „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20² მუხლის მე-2 პუნქტის, მე-40 მუხლის მე-16 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების მე-3 მუხლის „გ“ ქვეპუნქტისა და მე-5 მუხლის „კ“ ქვეპუნქტის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს ფერმერის პროფესიული სტანდარტი დანართის შესაბამისად.
2. დაევალოს ცენტრის ადმინისტრაციას (სამსახური) ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობისა და ცენტრის ვებგვერდზე განთავსების უზრუნველყოფა.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6)

დირექტორის
მოვალეობის შემსრულებელი




რუსუდან თავხელიძე

შემსრულებელი:

სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი

თარიღი: 10.07.14 /  / ქეთევან ჭუჭულაშვილი /

საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების სამმართველოს უფროსი

თარიღი: 10.07.14 /  / ქეთევან ფანჭულიძე /

შეთანხმებულია:

სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი

თარიღი: 10.07.14 /  / ივანე ბურდული /

საგანმანათლებლო პროგრამების სამსახურის უფროსის მოადგილე

თარიღი: 10.07.14 /  / ლალი შაიშმელაშვილი /

ხელმოწერის თარიღი : 11.07.14 /

ფერმერი 020364
პროფესიული სტანდარტი

I. სფეროს აღწერა

ფერმერის ფუნქციაა ერთი (მემცენარეობა, მეცხოველეობა, მეხილეობა, მეცენახეობა, მეფუტკრეობა, მეთევზეობა და სხვა) ან მრავალპროფილიანი მეურნეობის მართვა. ფერმერის პროფესიული კვალიფიკაცია მიეკუთვნება ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებას.

ფერმერს უნდა შეეძლოს მინდვრისა და ბოსტნეული კულტურების ჯიშების შერჩევა; აგროტექნოლოგიური სამუშაოების, ნიადაგის დამუშავებისა და მცენარის მოვლის ოპერაციების ორგანიზება და სწორად წარმართვა; მავნებლების, სარეველებისა და მცენარეთა დაავადებების გამოვლენა და მათთან ბრძოლა სხვადასხვა მექანიკური, ქიმიური და ბიოლოგიური საშუალებებით, მოსავლის აღებისა და შენახვის ოპერაციების წარმართვა.

ფერმერს უწევს საქმიანობა შეზღუდულ სივრცეში, სადაც ცხოველებთან, ელექტროხელსაწყობებთან, მანქანა-დანადგარებთან, მობილურ მექანიზმებთან, ქიმიურ და სადეზინფექციო ნივთიერებებთან მუშაობისას არსებობს ტრავმული დაზიანებების, მოწამვლისა და გადამდები დაავადებების საშიშროება. დაქირავებულ მუშაკებთან ერთად იგი გვემხვს დღის, თვისა და უფრო ხანგრძლივი პერიოდის სამუშაოებსა და ამოცანებს მოსალოდნელი ან არსებული კლიმატური პირობებისა და მეურნეობის შესაძლებლობების გათვალისწინებით; განსაზღვრავს სამუშაოს დაწყებისა და დასრულების ოპტიმალურ დროსა და პერიოდს; მოიმარაგებს საჭირო იარაღებსა და სასოფლო-სამეურნეო რესურსებს და წესრიგში მოჰყავს ისინი; ანგარიშობს მოცემულ ფართობზე საჭირო სასუქისა და შესაწამლი ნაზავის ინგრედიენტების რაოდენობას, დანახარჯებს, მოგებასა და ზარალს; ადგენს მარტივ ფინანსურ ანგარიშებს, ატარებს შედარებით ანალიზს სასურველი ან გასული წლების შესატყვის მონაცემებთან; ასრულებს დოგორც საცალო, ისე საბითუმო ყიდვა-გაყიდვისა და მასთან დაკავშირებულ ფინანსურ ოპერაციებსა და საბუღალტრო აღრიცხვას; ადგენს მეურნეობის მოვლა-შენახვის ბიუჯეტსა და მასთან დაკავშირებულ სხვადასხვა სამოქმედო გეგმას.

ფერმერი უნდა იყოს კარგი მენეჯერი. მან უნდა იცოდეს მარკეტინგის საფუძვლები, საქმიანობის დროს შრომის უსაფრთხოების დაცვა, დავალების მიცემა, კონტროლი, შესრულებული სამუშაოს გაანალიზება და შეფასება; გუნდური მუშაობა.

II. დასაქმების სფერო

ფერმერის პროფესიული კვალიფიკაციის მქონე პირს შეუძლია იმუშაოს ნებისმიერ სახელწიფო თუ კერძო კომპანიაში, რომლის საქმიანობა შემცენარეობას, მეცხოველეობას, მეხილეობას, მევენახეობას, მეფუტკრეობას, მეთევზეობას და სხვა სასოფლო-სამეურნეო მიმართულებას უკავშირდება, ასევე თვითდასაქმებით.

III. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

- საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის მსურველს მიღებული უნდა ჰქონდეს საბაზო განათლება.
- ასაკთან და კვალიფიკაციასთან დაკავშირებული სხვა წინაპირობები არ არსებობს.

IV. პროფესიიდან გამომდინარე დამატებითი მოთხოვნები:

პროგრამაზე სწავლის მსურველ პირს ასევე მოეთხოვება:

- ✓ საველე პირობებში, მუდმივად ღია ცის ქვეშ, ცხელ ან ცივ გარემოში ხანგრძლივად მუშაობის შესაძლებლობის უნარი;
- ✓ ფიზიკური ჯანმრთელობა; მყარი ფსიქიკა;
- ✓ ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფეხზე დგომის, დიდი მანძილის დაფარვის, განსხვავებული ტიპის სამუშაოებისადმი ადაპტაციის უნარები;
- ✓ კარგი ყნოსვა, გემოს მგრძნობელობა, მხედველობა;
- ✓ კარგი მეხსიერება, მათემატიკური და ლოგიკური ამოცანებისათვის თავის გართმევის უნარი;
- ✓ გამართული მეტყველება, კომუნიკაბელურობა, სამართლიანობა;

V. საგანმანათლებლო პროგრამა და კვალიფიკაცია

ფერმერის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ერთსაფეხურიანია და გულისხმობს მეოთხე საფეხურს. შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც მოიცავს 93 კრედიტს. პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება ფერმერის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია და მასზე გაიცემა პროფესიული დიპლომი.

VI. ფერმერის კვალიფიკაციის აღმწერი
ფერმერის მეოთხე საფეხურის კვალიფიკაციის აღმწერი

ცოდნა და გაცნობიერება	აქვს სფეროს გარემოებებსა და თეორიულ საფუძვლებზე დამყარებული ცოდნა, პრობლემების გადაჭრის ზოგად შესაძლებლობებს	იცის:
		• შრომითი ურთიერთობის მარეგულირებელი ნორმები, შრომის ხელშეკრულების პირობები; • პროფესიისა და პროფესიული ეთიკის მარეგულირებელი ნორმები; • საწარმოს ტიპური წესდება და შინაგანაწესი; • პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული საფრთხეები; • პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული უსაფრთხოების წესები; • ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის მარეგულირებელი ნორმები, ხანძრის შესაძლო გამოწვევი ფაქტორები, ხანძრის შემთხვევაში მისი აღმოფხვრის წესები; • საწარმოო უსაფრთხოების ამკრძალავი და გამაფრთხილებელი ნიშნები; • აალებად მასალებთან მუშაობის წესები; • დაზიანების სახეები და შესაბამისი პირველი სამედიცინო დახმარების წესები; • კრიტიკული სიტუაციების პრევენციის მნიშვნელობა, პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული რისკფაქტორები; • სასუქების, პესტიციდებისა და სხვა საშუალებების შენახვის, მოშადებისა და გამოყენების წესები; • ინდივიდუალური დამცავი საშუალებები და მათი გამოყენების წესები; • შესათვთირებელი, სარეცხი და სადეზინფექციო ხსნარების გამოყენების მნიშვნელობა, მათი მოშადების წესები; ნარჩენების სახეები და მათი გაუვნებლების მეთოდები. • ტექნოლოგიური რუქების სტრუქტურა; • ტექნოლოგიური ციკლების სტრუქტურა; • პროდუქტის ძირითადი ხარისხობრივი მაჩვენებლები; • სურსათის უვნებლობის კანონმდებლობა; • კრიტიკული წერტილების პრევენციული კონტროლის მნიშვნელობა; • მიკვლევადობის მნიშვნელობა; ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის სახეები. • რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია; • რეგიონში არსებული ტრადიციული და მოქმედი დარგები;

- ბაზრის სტრუქტურა;
- ადგილობრივი და საერთაშორისო ბაზრების შესახებ ინფორმაციის მოპოვების მეთოდები;
- აგრარულ სფეროში არსებული კანონმდებლობა.
- ბიზნესგეგმის სტრუქტურა;
- დარგისათვის საჭირო ტექნიკური საშუალებებისა და დამზარე მასალების სახეები;
- ადამიანური რესურსების შერჩევის მეთოდები და კრიტერიუმები;
- საბანკო და სამეწარმეო სფეროს კანონმდებლობა;
- საფინანსო ინსტიტუტების საქმიანობის ძირითადი პრინციპები;
- ვარტნიორებთან თანამშრომლობის ძირითადი პრინციპები;
- ხელშეკრულების შედგენის წესები.
- მცენარის ბიოლოგია, ბოტანიკა და ფიზიოლოგია;
- აგრონომიის ზოგადი საფუძვლები;
- თესლბრუნვის მნიშვნელობა და კულტურათა მონაცვლეობის წესები;
- ნიადაგის ტიპები და სტრუქტურა;
- ნიადაგის ფიზიკური და ქიმიური თვისებები;
- ნაკვეთის შერჩევის ძირითადი კრიტერიუმები და ფაქტორები კულტურების მიხედვით;
- ღია და დახურულ გრუნტში მოწვევის მეთოდები და თანამედროვე სისტემები;
- ღია და დახურულ გრუნტში მულჩირების სახეები და მისი გამოყენების წესები;
- სათბურის ტიპები და კონსტრუქციები;
- სათბურის განლაგებისა და მოწყობის წესები;
- დახურულ გრუნტში მიკროკლიმატის შექმნის მეთოდები და წესები;
- კულტურის აგროტექნიკა;
- კულტურების ბიოლოგიური თავისებურებანი სეზონურობის გათვალისწინებით;
- კულტურის ადაპტირებული ჯიშები და ჰიბრიდები;
- თესლის ძირითადი ხარისხობრივი მაჩვენებლები;
- ნიადაგის დამუშავების ძირითადი წესები;
- მცენარეთა დაცვის საშუალებების გამოყენების წესები;
- მინერალური, ორგანული და ბიოლოგიური სასუქების სახეები, მათი გამოყენების წესები;
- კულტურათა თესვის ძირითადი კრიტერიუმები;
- ჩითილის წარმოების თანამედროვე მეთოდები;
- კულტურისათვის დამახასიათებელი დაავადებები, მავნებლები და მათთან ბრძოლის ინტეგრირებული მეთოდები;

	• საკვები ბალახების ტექნოლოგიური თავისებურებები; • ბალახნარეკებისა და მდელის ბალახების თესვის ნორმები; • საძოვრული ტერიტორიის ორგანიზაციის პროექტის სტრუქტურა; • ბუნებრივი საძოვრების მოვლის წესები და მათი გაუმჯობესების გზები; • საძოვრის გამოყენების ვადები და საკვებზე მოთხოვნილების დადგენის წესი; • უხეში საკვების, სილოსისა და წვნიანი საკვების დამზადების თანამედროვე მეთოდები; • საკვების დასაწყობებისა და შენახვის მეთოდები და წესები; • საკვებწარმოებაში შესაბამისი ხელსაწყოებისა და საშუალებების გამოყენების წესები; • საკვების გაფუჭების გამომწვევი მიზეზები და მათი თავიდან აცილების საშუალებები; • საკვები ნარევების მომზადება სათანადო ინსტრუქციების გამოყენებით; • საადრეო ჯიშები და ჰიბრიდები; • კვალსათბურის მოწყობისა და მოვლის წესები; • მრავალწლოვანი მცენარეების ბიოლოგიური თავისებურებანი; • მცენარეების ზრდა-განვითარებისთვის საჭირო გარემო ფაქტორები; • მცენარეების ზრდა-განვითარებისა და მსხმოიარობის კანონზომიერებები; • საქართველოს ეკოლოგიური პირობები სხვადასხვა კუთხის მიხედვით; • საბაღე ადგილის შერჩევის კრიტერიუმები; • ტერიტორიის ორგანიზაცია (კვარტლის ზომა, ფორმა, მიმართულება, გზები, ქარსაფარი ნარგავობა, ქარამრიდი ზოლები, ბაღ-ვენახში მცენარეთა განლაგების სისტემები, კვების არე); • ჯიშების მახასიათებლები; • კვარტალშიდა დაგეგმვა; • ბაღ-ვენახისა და ჩაის პლანტაციის გასაშენებლად ნიადაგის მომზადების წესები; • სარწყავი სისტემის ტიპები; • სადრენაჟო ქსელის მოწყობის წესები; • ნიადაგის ფიზიკურ-ქიმიური თვისებების გაუმჯობესების მეთოდები; • სარგავი მასალის მომზადების წესი; • დარგვის წესები კულტურის მიხედვით; • საძირე და საკვირტე მასალის შერჩევა, მისი დამზადება, შენახვის წესები და ვადები; • მცნობის ძირითადი წესები და თანამედროვე ტექნოლოგიები; • სანერგეში ნამყენის რგვისა და მოვლის წესები, • მავნებელ დაავადებებთან ბრძოლის თავისებურებები; • ნიადაგის მოვლის წესები;
--	---

- სხვა-ფორმირების წესები;
- საყრდენი სისტემის სახეები;
- მწვანე ოპერაციების ჩატარების წესები ვენახში;
- საკვები ელემენტების მოწოდების წესები;
- მავნებელ-დაავადებებთან, სარეველებთან ბრძოლისა და სტრესფაქტორების მართვის მეთოდები;
- მორწყვის ვადები და ნორმა კულტურების მიხედვით;
- სეტყვის საწინააღმდეგო ზადის ტიპები, მოწყობის წესები კულტურების გათვალისწინებით;
- ცხოველის, ფრინველის, ფუტკრის, თევზის ბიოლოგია;
- სხვადასხვა ცხოველისა და ფრინველის სადგომების მოწყობის წესები;
- ფუტკრის სკისა და თევზისთვის ავზებისა და ტბორების მოწყობის წესები;
- ინსტრუქციის გამოყენებით ფერმის მოწყობილობა-დანადგარებთან მუშაობის წესები;
- სხვადასხვა სქესობრივ - ასაკობრივი ჯგუფის შენახვის სისტემები;
- მოზარდი და ზრდასრული ცხოველის შენახვის ნორმები და პირობები;
- დაავადებული ცხოველის იზოლირების წესები;
- ცხოველის, ფრინველის, ფუტკრისა და თევზის სადგომებში მიკროკლიმატური რეჟიმები;
- მიკროკლიმატის დასარეგულირებელი აპარატურა-მოწყობილობების გამოყენების წესები;
- საკვების სახეები, დამზადების ვადები და წესები;
- საკვების დასაწყობებისა და შენახვის მეთოდები და წესები;
- საკვების გაფუჭების გამომწვევი მიზეზები;
- საკვების ქიმიური შემადგენლობა;
- საკვების მომზადების ტექნოლოგია;
- ცხოველთა ნორმირებული, სრულფასოვანი კვების საფუძვლები;
- კვების ტექნიკა და რეჟიმი;
- სამოვრების გამოყენების ვადები და პირობები;
- ცხოველთა მომშენებლობის საფუძვლები;
- ცხოველისა და ფრინველის ჯიშები;
- ცხოველთა აღწარმოების არსი და მნიშვნელობა;
- ცხოველთა/ ფრინველთა/ ფუტკრის/თევზის აღწარმოების ფიზიოლოგიური ციკლი;
- ხელოვნური განაყოფიერების საფუძვლები და მეთოდები;
- პირველადი ზოოტექნიკური და სანაშენი აღრიცხვის დოკუმენტაციის წარმოების წესები;

	• სასოფლო-სამეურნეო ტექნიკისა და დანადგარების სახეები არჩეული მიმართულების შესაბამისად; • სასოფლო-სამეურნეო ტექნიკისა და დანადგარების ტექნიკური მახასიათებლები; • სასოფლო-სამეურნეო ტექნიკისა და დანადგარების მუშაობის ძირითადი პრინციპები; • სასოფლო-სამეურნეო ტექნიკისა და დანადგარების გამოყენებისა და მოვლის ნორმები; • ცხოველის სატრანსპორტო საშუალებით გადაყვანის ნორმები და წესები; • სატრანსპორტო საშუალებაში მოსათავსებელი ცხოველის რაოდენობა და ასაკობრივი ჯგუფები; • სათესლე და სარგავი მასალის კონდიციურობისა და ხარისხობრივი მაჩვენებლები; • მეთესლეობის ბიოლოგიური საფუძვლები; • თვითმტვერია და ჯვარედინმტვერია კულტურების მეთესლეობის თავისებურებანი; • თესლის ალების ვადები და წესები კულტურის გათვალისწინებით; • თესლის დამუშავების წესები კულტურის გათვალისწინებით; • ცხოველის ჯიშებისა და ხაზების, ფრინველის კროსების, ფუტკრის ოჯახის, თევზის გამოყვანის სელექციურ-გენეტიკური საფუძვლები; • სანაშენე მოზარდის გამოზრდის ტექნოლოგია, რეალობაციის ვადები ბაზრის მოთხოვნილების გათვალისწინებით; • სანაშენე მოზარდის კლასურობის განსაზღვრის პრინციპები; • ფერმაში რძის მიღების წესები; • სახორცედ სუქების მეთოდები; • ტბორში თევზის გამოზრდის ნორმები; • სკიდან სასაქონლო თაფლის ამოღების ვადები და წესები; • კვრცხის შეგროვებისა და შენახვის ვადები და წესები; • ცხვრის პარსვის ვადები; • სასურსათო პროდუქციის ხარისხის სტანდარტები; • სასურსათო ნედლეულისა და პროდუქტების ხარისხისა და უსაფრთხოების სანიტარული წესები და ნორმები; • მინდვრისა და ბოსტნეული კულტურების სიმწიფის ფაზების დადგენა; • საკვები ბალახების გათიზვის ვადებისა და ჯერადობის განსაზღვრა; • მრავალწლიანი კულტურების კრეფის ვადები და წესები; • მრავალწლიანი კულტურების მოსავლის ასაღებად საჭირო სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, ხელსაწყო-იარაღები და ინვენტარი; • მოსავლის ტრანსპორტირების წესები; • პროდუქციის შენახვისთვის ოპტიმალური პირობები; • საწყობებისა და მაცივრების დამუშავება-დეზინფექციის წესები; • პროდუქციის პირველადი დამუშავების წესები;
--	--

		• პროდუქციის ხარისხობრივი მაჩვენებლები; • შესახებ ტარის სახეები; • ტარის შენახვისა და გამოყენების სანატარულ-ჰიგიენური ნორმები; • მარკეტინგის საფუძვლები; • რეკლამის სახეები და საშუალებები; • ხელშეკრულების მომზადების წესები; • დისტრიბუციის სახეები და საშუალებები; • ანალიზის კრიტერიუმები; • მარტივი ფინანსური ოპერაციების წარმოების წესები; • საგადასახადო კანონმდებლობა; • დოკუმენტაციის მომზადება (აქტები, მიღება—ჩაბარების აქტები, სასაქონლო ზედნაღები)
ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	შეუძლია სამუშაოს დაგეგმვისა და შესრულების პროცესში სანდო ინფორმაციის წყაროების გამოყენება, წამოჭრილი სპეციფიკური ამოცანის დასაძლევად სტრატეგიის შემუშავება და შესრულებული სამუშაოს გაუმჯობესების მიზნით მიღებული შედეგების შეფასება	შეუძლია: • საწარმოს წესდებისა და შინაგანაწესის მომზადების უზრუნველყოფა; • შრომის ხელშეკრულების პირობების შესრულება; პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული უსაფრთხოების წესების დაცვის უზრუნველყოფა; • ხანძარსაწინააღმდეგო წესების დაცვის უზრუნველყოფა; • აალებად მასალებთან მუშაობის წესების დაცვის უზრუნველყოფა; • ხანძრის შემთხვევაში ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების ჩატარება; • საწარმოო უსაფრთხოების ამკრძალავი და გამაფრთხილებელი ნიშნების გამოყენების უზრუნველყოფა; • პირველი სამედიცინო დახმარების გაწევა დაზარალების შესაბამისად; • კრიტიკულ სიტუაციებში რისკფაქტორების შემცირება; • სასუქების, პესტიციდებისა და სადღეგრძელო საშუალებების შენახვის წესების დაცვის უზრუნველყოფა; • პესტიციდებისა და სადღეგრძელო საშუალებების მომზადების უზრუნველყოფა; • სასუქების, პესტიციდებისა და სადღეგრძელო საშუალებების გამოყენების წესების დაცვის უზრუნველყოფა; • ინდივიდუალური დამცავი საშუალებების გამოყენების უზრუნველყოფა; • შესათვთრებული, სარეცხი და სადღეგრძელო ხსნარების გამოყენების უზრუნველყოფა; ნარჩენების გაუმჯობესების უზრუნველყოფა. • ტექნოლოგიური რუკებისა და ციკლების შედგენა; • ტექნოლოგიური რუკებისა და ციკლების შესაბამისად სამუშაოების განაწილება; • პროდუქციის ხარისხის უზრუნველყოფა; • კრიტიკული წერტილების პრევენციული კონტროლის ორგანიზება;

	• ინფორმაციული ჩანაწერების განხორციელება; • ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტაციის მიღება • რეგონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის შესახებ დოკუმენტის განალოზება; • ადგილობრივი და საერთაშორისო ბაზრების შესახებ ინფორმაციის მოპოვება; • ბაზრების შესახებ მოპოვებული ინფორმაციის ანალიზი; • ფერმერული საქმიანობის დარგობრივი სტრუქტურის განსაზღვრა; • აგრარული სფეროს კანონმდებლობის გამოყენება საკუთარი საქმიანობის წარმართვისას • ბიზნესგეგმის შემუშავების უზრუნველყოფა • დამოუკიდებლად ან რეკომენდაციებით; • ფერმერული ინფრასტრუქტურის მოწყობა; • დარგისათვის საჭირო ტექნიკური საშუალებებისა და დამხმარე მასალების შესყიდვა; • დადგენილი კანონმდებლობის შესაბამისად, შესყიდვასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის მომზადება; • კვალიფიციური კადრების შერჩევა; • ბანკებთან და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებთან ურთიერთობა; • ფინანსური წყაროების მოძიება და ანალიზი; • პარტნიორების შერჩევა; • თანამშრომლობის შესახებ სამართლებრივი საფუძვლების შექმნა • თესობრუნვისა და კულტურათა მონაცვლეობის წესების უზრუნველყოფა; • ნიადაგის ტიპებისა და სტრუქტურის განსაზღვრა; • ნაკვეთის შერჩევა ძირითადი კრიტერიუმებისა და ფაქტორების გათვალისწინებით; • ღია და დახურულ გრუნტში მორწყვის მეთოდებისა და თანამედროვე სისტემების შერჩევა და გამოყენება; • ღია და დახურულ გრუნტში მულჩირების სახეების შერჩევა და მათი გამოყენების უზრუნველყოფა; • სათბურის ტიპებისა და კონსტრუქციების შერჩევა და მოწყობა; • დახურულ გრუნტში მიკროკლიმატის შექმნის უზრუნველყოფა; • კულტურის შერჩევა სეზონურობის, კულტურათა მონაცვლეობის გათვალისწინებით; • ნიადაგის დამუშავება შესაბამისი წესების დაცვით; • მცენარეთა დაცვის საშუალებების გამოყენება შესაბამისი წესების დაცვით; • მინერალური, ორგანული და ბიოლოგიური სასუქების გამოყენება; • თესვის ორგანიზება ნორმებისა და ვადების დაცვით; • ჩიხილის წარმოება თანამედროვე მეთოდებით; • კულტურისათვის დამახასიათებელი დაავადებებისა და მავნებლების აღმოჩენა და მათთან
--	---

	ბრძოლის ინტეგრირებული მეთოდების უზრუნველყოფა; • სათიბებისა და საძოვრების გაუმჯობესების, სისტემური მოვლის, ბუნებრივი საკვები სავარგულების გამოყენების სქემების შედგენა ზონების მიხედვით; • საძოვრის გამოყენების ვადებისა და საკვებზე მოთხოვნილების დადგენა; • საძოვრულ პერიოდში მწვანე საკვები ბალანსის შედგენა; • სათიბებისა და საძოვრებზე ზედაპირული და ძირეული გასაუმჯობესებელი ღონისძიებების ჩატარება; • კვალსათბურში საწარმოებული ჯიშებისა და ჰიბრიდების შერჩევა რეგიონის კლიმატური პირობების გათვალისწინებით; • კვალსათბურის მოწყობა და მოვლა; • საწარმოებული კულტურის გათვალისწინებით მიკროკლიმატის შესწავლა; • ნიადაგის ტიპის განსაზღვრა; • ნაკვეთის ტერიტორიული მოწყობა; • ადგილობრივი პირობების შესაბამისი ჯიშების შერჩევა; • ქარსაფარი ნარგავობის შერჩევა და გაშენება ადგილმდებარეობის მიხედვით; • ბაღ-ვენახისა და ჩაის პლანტაციის გაშენება; • შესაბამისი სარწყავი სისტემის ტიპის შერჩევა; • სადრენაჟო ქსელის მოწყობის უზრუნველყოფა; • ნიადაგის ფიზიკურ-ქიმიური თვისებების შესაბამისად, ნიადაგის გაუმჯობესების მეთოდების შერჩევა; • სარგავი მასალის შერჩევა, მომზადება და დარგვა; • მცნობა; • სანერგის მოვლა; • ნამცენის ამოღება, დახარისხება და შენახვა; • შესრულებული სამუშაოს ხარისხის კონტროლი; • ნიადაგის მოვლის უზრუნველყოფა წესების გათვალისწინებით; • სხვა-ფორმირების უზრუნველყოფა; • საყრდენი სისტემების მოწყობა; • მწვანე ოპერაციების ჩატარება ვენახში; • საკვები ელემენტების მიწოდების უზრუნველყოფა; • მავნებელ-დაავადებებთან, სარეველებთან ბრძოლისა და სტრესფაქტორების მართვის მეთოდების გამოყენება; • მორწყვა ვადებისა და ნორმების დაცვით; • სექცვის საწინააღმდეგო ზადების მოწყობა; • ძროხის, ღორის, ცხვრისა და ფრინველის სადგომისა და სასეირნო მოედნების მოწყობა და
--	--

	წესრიგში მოყვანა; • ფუტკრის სკისა და თევზისთვის ავზებისა და ტბორების მოწყობის უზრუნველყოფა; • მოწყობილობა–დანადგარების გამოყენებით მივლა-შენახვის პირობების რეგულირება ცხოველისთვის კომფორტული პირობების შექმნისათვის; • სადგომში/სკაში/ტბორში ცხოველის/ფრინველის/ თევზის/ფუტკრის სიმჭიდროვის, კვებისა და დაწყოების ფრონტის კონტროლი; • ცხოველის შენახვის პირობებისა და ნორმების დაცვა; • დაავადებული ცხოველის იზოლირების წესების დაცვა; • ცხოველის, ფრინველის, ფუტკრისა და თევზის სადგომებში მიკროკლიმატური რეჟიმების დაცვა; • მიკროკლიმატის დასარეგულირებელი აპარატურა–მოწყობილობების გამოყენება; • დადგენილ ვადებში საკვების უდანაკარგოდ დამზადების უზრუნველყოფა; • წარმოებული საკვების დასაწყობებისა და შენახვის უზრუნველყოფა; • საკვების ხარისხის ვიზუალურად შეფასება; • გაფუჭებული საკვების გაუვნებლების უზრუნველყოფა; • საკვების კვებისწინა მომზადება ტექნოლოგიის დაცვით; • ცხოველთა სადღეღამისო საკვები ულუფების შედგენის უზრუნველყოფა; • კვების ტექნიკისა და რეჟიმის დაცვის უზრუნველყოფა; • სამოვრების გამოყენების ვადებისა და პირობების დაცვის უზრუნველყოფა; • ცხოველის და ფრინველის ჯიშების იდენტიფიცირება; • ცხოველთა/ ფრინველთა/ ფუტკრის/თევზის აღწარმების უზრუნველყოფა ფიზიოლოგიური და ტექნოლოგიური ციკლის შესაბამისად; • ხელოვნური განაყოფიერების უზრუნველყოფა; • მკვე ცხოველის შენახვის უზრუნველყოფა ინკუბატორში; • ოპტიმალური რეჟიმის უზრუნველყოფა ინკუბატორში; • მდედრის/ნაყოფის მოგების/გამოჩვევასა და ხმაურების აღმოჩენა და მათთვის სასიცოცხლო პირობების შექმნა; • პირველადი ზოოტექნიკური და სანაშენე აღრიცხვის დოკუმენტაციის წარმოება. • სასოფლო–სამეურნეო ტექნიკისა და დანადგარების შერჩევა ნიადაგის ტიპისა და კულტურის შესაბამისად; • სასოფლო–სამეურნეო ტექნიკისა და დანადგარების გამოყენების უზრუნველყოფა;
--	--

	• სასოფლო-სამეურნეო ტექნიკისა და დასაღვარების მოვლის უზრუნველყოფა; • სატრანსპორტო საშუალებების შერიცხვისა და მომზადების უზრუნველყოფა ცხოველის/ფრინველის/თევზის/ფუტკრის გადასაცემად; • ცხოველის/ფრინველის/თევზის/ფუტკრის მომზადება გადასაცემად; • ცხოველის/ფრინველის/თევზის/ფუტკრის უდანაკარგოდ გადაყვანის კონტროლი; • სათესლე და სარგავი მასალის კონდიციურობისა და ხარისხობრივი მაჩვენებლების დაცვის უზრუნველყოფა; • კულტურის გათვალისწინებით თესლის ადების ვადებისა და წესების დაცვის უზრუნველყოფა; • თესლის დამუშავების წესების დაცვის უზრუნველყოფა; • ცხოველის ჯიშებისა და ხაზების, ფრინველის კროსების, ფუტკრის ოჯახის, თევზის გამოყვანის უზრუნველყოფა; • სანაშენე მოზარდის გამოზრდის ტექნოლოგიის დაცვის უზრუნველყოფა; • სანაშენე მოზარდის კლასურობის განსაზღვრა; • სანაშენე მოზარდის/ფრინველის/საინკუბაციო კვერცხის/ფუტკრის ოჯახის/თევზის წარმოების უზრუნველყოფა; • რძის მიღება ფერმაში; • სახორცედ სუქების მეთოდების განხორციელება ფერმაში; • შესაბამისი ნორმების დაცვით ტბორში თევზის გამოზრდა და კონდიციის მიღწევის შემდეგ მისი ქერის უზრუნველყოფა; • სათანადო წესებისა და ვადების დაცვით სკიდან სასაქონლო თაფლის ამოღება; • შესაბამისი ნორმების დაცვით კვერცხის შეგროვება და შენახვა; • ცხვრის პარსვის ვადების დაცვა; • საწველი აპარატის და ცხვრის საპარსი აგრეგატის მომზადება; • მოსავლის ასაღები იარაღებისა და ინვენტარის მობილიზება; • მოსავლის აღების პროცესის უდანაკარგოდ წარმართვა; • მოსავლის აღების ორგანიზება დადგენილი ვადების მიხედვით; • საკვები ბალახების დროული გათიბვის უზრუნველყოფა; • მოსავლის დახარისხება; • პროდუქციის შენახვისთვის ოპტიმალური პირობების შექმნის უზრუნველყოფა; • საწყობებისა და მაცივრების დამუშავება-დეზინფექციის წესების შესრულების კონტროლი; • პროდუქციის პირველადი დამუშავების წესების დაცვის უზრუნველყოფა; • პროდუქციის შეფასება და დახარისხება; • მიღებული პროდუქციის უდანაკარგოდ შენახვის უზრუნველყოფა; • შესანახი ტარის შერჩევა; • ტარის შენახვისა და გამოყენების უზრუნველყოფა საინტარგო-პიკეტაჟის ნორმების დაცვით;
--	---

		• რეკლამის გაკეთება; • ხელშეკრულების მომზადება; • სარეკლამაციო ქსელის მუშაობის სწორად წარმართვა; • შემოსავლების და ხარჯების აღრიცხვა; • ფასნამატისა და თვითღირებულების დადგენა; • შესრულებული სამუშაოს დადებითი და უარყოფითი მხარეების შეფასება; • საჭირო ფინანსური დოკუმენტაციის წარმოება.
დასკვნის უნარი	შუქდლია სპეციფიკური პრობლემების გადასაწყვეტად შესაბამისი მიდგომის შემუშავება, ალტერნატიული შესაძლებლობების განხილვა და მიღებული შედეგის ანალიზი	აქვს: • სამუშაოს ანალიზისა და გადაწყვეტილების მიღების უნარი; • ექსტრემალურ სიტუაციაში დაგეგმილი საშუალებების პრიორიტეტულობის განსაზღვრის უნარი; • ფორსმაჟორულ და სტრესულ სიტუაციებში მუშაობისა და რაციონალური გადაწყვეტილების მიღების უნარი; მართვის, ანალიზის, გუნდური მუშაობის, ადაპტაციის კარგი უნარები. • არის ინიციატივიანი და იდეური.
კომუნიკაციის უნარი	შუქდლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე ცვალებად სიტუაციებში, ახალი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებად ათვისება, უცხოურ ენაზე მიღებული ინფორმაციის დამუშავება	შუქდლია: • ეფექტური კომუნიკაცია კოლეგებთან, ხელმძღვანელებთან, დამკვეთთან; • ინტერნეტის გამოყენება; • კომპიუტერის მოხმარება; • ინფორმაციის მოპოვება და გაცემა მშობლიურ და უცხო ენაზე; • საკუთარი გამოცდილების გაზიარება; • წარმატებული ფერმერების გამოცდილების გაზიარება; • ფერმერთა საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრთან კომუნიკაცია.
სწავლის უნარი	შუქდლია საკითარი სწავლის მიმართულებების დამოუკიდებლად განსაზღვრა -განჭვრეტა, თუმცა	აქვს: • პროფესიასთან დაკავშირებული პერიოდიკისა და სხვა ლიტერატურის სისტემატურად მოპოვებისა და გაცნობის უნარი; • კონფერენციებში, სემინარებში, ტრენინგებში, გამოფენებში მიღებული ცოდნისა და

	ნაწილობრივ, ვითარებაში	ცვალებად	კონსულტაციების პრაქტიკაში გამოყენების უნარი • საკუთარი ცოდნის შეფასებისა და შემდგომი სწავლის განსაზღვრის უნარი. - შეუძლია: • საკუთარ სწავლაზე პასუხისმგებლობის აღება; • დამოუკიდებლად სხვადასხვა წყაროდან საჭირო ინფორმაციის მოძიება, დამუშავება და ანალიზი და საკუთარი სწავლის დაგეგმვა.
ღირებულებები	პასუხისმგებლობით პროფესიული საქმიანობისთვის დამახასიათებელ ღირებულებებს და ცვალებად სიტუაციებში მოქმედებს მათ შესაბამისად	კვიდება	აცნობიერებს პროფესიულ ფუნქციებსა და მოვალეობებს; არის ორიენტირებული და დისციპლინიზებული. აქვს: • გათავისებული კონფერენციებში, სემინარებში, ტრენინგებში, გამოფენებში მონაწილეობის მნიშვნელობა; • სამუშაოს დაგეგმვის უნარი; • პასუხისმგებლობა და შესრულებული სამუშაოს ხარისხის კონტროლის უნარი; • კრიტიკულ სიტუაციებში სწრაფი გადაწყვეტილების მიღების უნარი;